საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

ბრძანება

MES 4 23 0001517523

08/11/2023

"სსიპ - კოლეჯის ,,ფაზისი'' პროფესიული მომზადების პროგრამის ,,პირველადი დახმარება'' ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე'' სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 25 ოქტომბრის №1437451 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2023 წლის 08 ნოემბრის №1513293 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება '' სსიპ - კოლეჯის ,,ფაზისი'' პროფესიული მომზადების პროგრამის ,,პირველადი დახმარება'' ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე'' სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 25 ოქტომბრის №1437451 ბრძანების სათაურში და სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **''სსიპ - კოლეჯის ,,ფაზისი'' პროფესიული მომზადების პროგრამის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება'' ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე'' .**
2. 2023 წლის 25 ოქტომბრის №1437451 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
დირექტორის მოადგილე
კახაბერ ერაძე

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01793	პირველადი გადაუდებელი დახმარება	პროფესიული მომზადება	მესამე	3	ქართული	40	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. ნოჯიხევი